თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №166159

ნომერი: AR149471

თარიღი : 08.05.2012

გაცემის თარიღი : 15.05.2012

გაცნობის თარიღი : 16.05.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 91 (IV კვარტ. კორპუსი N2) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ორგანიზაცია:

- შპს,,მალუჯი" კოდი: 202451630

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი სახით ფასადის შემდგომი რეკონსტრუქცია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სარეკლამო აბრის ვიზუალიზაცია ამ ეტაპზევე უნდა იქნას განსაზღვრული (გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული), რაც შეეხება საპროექტო კიბის მოწყობას, გაცნობებთ, რომ სარეკონსტრუქციო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია შეზღუდვა, საგანი: 1851 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება. წარმოდგენილი იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა სერვიტუტზე კიბის მოწყობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს შესაბამისი თანხმობა სერვიტუტზე კიბის მოწყობაზე (გაითვალისწინეთ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა საჭირო იქნება იმ შემთხვევაშიც თუ კიბის მოშენების ფართობი ასცდება 6,0 კვ.მ.–ს). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იყოს განახლებული ფოტომონტაჟი, სხვადასხვა ხედის ფიქსაციით, სამსახურის მიერ გაცემული მითითებების გათვალისწინებით, მოსაპირკეთებელი მასალისა და გაბარიტული ზომების დატანით (გაბარიტული ზომები დატანილი იქნას დეტალურად).

ამასთანავე გაცნობებთ:

1. ვინაიდან საპროექტო დავალებით ვიტრაჟების მოწყობასთან ერთად გათვალისწინებულია ლითონის ტენტის მოწყობა, ახალი განცხადებით დარეგისტრირებისას თქვენს მიერ შერჩეულ ნომენკლატურასთან ერთად ("ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი") დამატებით უნდა აირჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "საჩრდილობლის მოწყობა" – ქმედებები "რეკონსტრუქცია".
2. ახალი განცხადებით დარეგისტრირებისას არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის ან თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (ასეთ შემთხვევაში მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში). იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოებით დაინტერესებულია ფართის მოსარგებლე, დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრის თანხმობა, მის საკუთრებაში არსებული ფართის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით (აღნიშნული დოკუმენტის ატვირთვა შესაძლებელია "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობის" ველში).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.